საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ—პოლიტიკური გაზეთი

№35 (6624) 1 სექტემბერი ხუთშაბათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ...1 სექტემბერიც მოსულა! დე, ახმიანდი პირველო ზარო, ერის, მომავლის, ქვეყნის იმედად!

ისევ დადგა კალენდარული სექტემბერი. არა ხალისიანი განწყობა, არა სასკოლო ვაჭრობა, არა გახარებული მოსწავლე-მშობლები და პედაგოგები. სიხარული და სამზადისი კი არა, ბევრმა უარიც თქვა შვილის სკოლაში გაგზავნაზე. ჩაცმა—დახურვას რომ თავი დავანებოთ, სახელმძღვანელოებსაც ვერ ვუყიდით, რამდენისგან გაიგონებ.

...და მაინც მოვიდა სექტემბერი. რა ვქნათ, უარი ვთქვათ შვილებს, ჩვენი მომავლის, საქართველოს ხვალინდელი დღის განსწავლულობაზე?

არადა სახელმწიფოს, სამთავრობო სტრუქტურებს, განათლების სამინისტროს არანაირი დახმარება არ შეუძლიათ. ჩვენი მოსწავლე—ახალგაზრდობის სწავლა—აღზრდა მთლიანად სკოლაზე, მასწავლებელზე და თითოეულ იმათგანზეა დამოკიდებული, ვისთვისაც არ არის სულერთი ხვალინდელი საქართველოს ბედი და ინტერესები.

გვესმის, მასწავლებელზე მწირი და არაფრისმაქნისი გასამრჯელო არც არასოდეს ჰქონია ვისმეს. დღეს მით უფრო, მილიონობით კუპონი რაღაა, რომ მასწავლებელმა დაარჩინოს თავი მათხოვრული ხელფასით (ისიც არ ეძლევა თავისდროულად).

ერთი სიტყვით, მასწავლებლის ყოფა და მდგომარეობა გაუსაძლისია ბევრმა დატოვა სკოლა, თავის გადარჩენის სხვა გზა გამონახა, ზურგი შეაქცია იმას, რასაც მთელი მონდომებითა და რუდუნებით ემსახურებოდა.

მაგრამ, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ გვყვანან ისეთები, რომლებიც ვერა და ვერ ღალატობენ ბავშვს, მათთვის ყველაზე მაღლა დგას პროფესიული თავმოყვარეობა და ახალგაზრდობის აღზრდის სახელმწიფოებრივი საქმე. ასეთი მასწავლებლის იმედზეა დღეს ჩვენი მომავალი. მისი სიტყვა, გაკვეთილი და პირადი ადამიანური ძალა ყველაზე დიდი და კეთილი საგზალია ჩვენი შვილებისთვის. დიახ, სწორედ მასწავლებელმა უნდა გამოსტაცოს ახალგაზრდობა გაუკუღმართებული ცხოვრების მორევს, მისცეს სწორი, ადამიანური ორიენტაცია, დაარწმუნოს, რომ ქვეყანას მხოლოდ პატიოსანი, ნიჭიერი, განსწავლული ერი გადაარჩენს, რომ გზა ხსნისა ჩვენს ახალგაზრდობაში, მის სულიერებაში, მის ენერგიაშია. მასწავლებელმა არამც და არამც არ უნდა თქვას უარი სკოლაზე, პირიქით, ხელი უნდა ჩავჭიდოთ ერთმანეთს. იმედი მივცეთ, ნებისყოფა, გამძლეობა მოვიკრიბოთ და იმ რამდენიმე ბავშვს მაინც არ გავუცრუოთ იმედი, წარამარა რომ კითხულობდნენ არდადეგებზე: ხომ დაიწყებაო სწავლა 1 სექტემბერს?

სექტემბერი დადგა, არ შედრკე მასწავლებელო, არ შეუშინდე სიძნელეებს, შენი შრომა და ძალისხმევა შეუდარებელია—შენ უდიდესი მისია გაკისრია—გადაარჩინო ახალგაზრდობა.

## ახალი სასწავლო წელი: განწყობა?

დღეს პირველი სექტემბერია, ასე თუ ისე, მაინც სკოლასთან, სიხარულთან, განუმეორებელ ბავშვობასთან, ცოდნასთან, ჩვენს აღზრდა—ფორმირებასთან დაკავშირებული პირველი სექტემბერი.

ამ გასაცოდავებულ დროში ყველა ჩვენთაგანისთვის ეს ღირსშესანიშნავი დღე უარყოფით რეაქციას უფრო იწვევს, ვიდრე დადებითს.

**რა ასოციაციას იწვევს თქვენში პირველი სექტემბერი?** —ამ სახელდახელო კითხვით მივმართეთ გუშინ შემთხვევით შემხვედრ ადამიანებს.

—ჩემთვის პირველი სექტემბერი ბავშვობიდან მოდის, როგორც სასიხარულო დღე. უბრალოდ რომ ახსენოს ვინმემ 1 სექტემბერი, სასიამოვნო წარსულთან, ტკბილ მოგონებებთან მაკავშირებს.

—არ მიხარია, რადგან შვილებს ვერაფერი ახალი ვერ ვუყიდე. შარშანდელი 10 რვეულის ამარა მყავს ორი მოსწავლე.

—რაც გამაჩნდა, ბაზარს გავუყვენე, 40 ათასი მანეთი მოვაგროვე და ქვეყანა ჩემი მეგონა, მაგრამ ამით სახელმძღვანელოები და ჩანთაც ვერ ვიყიდე. ჩაცმა—დახურვაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

—პირდაპირ მეტირება, ჩემი უფროსი შვილი პირველ კლასში უნდა შევიდეს, ვერ ვაგზავნი. უბრალოდ რომ შევმოსო, იმის საშუალება არა მაქვს კარგი სასექტემბრო სიურპრიზია არა 25 წლის დედისთვის?

—ნუ მაღიზიანებთ, დღეს ერთეულებმა, „ბურჟუებმა“ უნდა ასწავლონ შვილებს. ჩვენი, პატიოსანი ხალხის, სწავლა—განათლება კი არა, ფიზიკური არსებობაც აღარ ახსოვს სახელმწიფოს.

—სკოლის დირექტორი ვარ. ვეღარ შევალ სკოლაში, რაღა მინდა.

—რა გიპასუხოთ. მე-5 კურსამდე მისწავლია და გზის ფული არა მაქვს, რომ სასექტემბროდ ინსტიტუტში ვიყო.

—რატომ უნდა მიხაროდეს, დედამ ახალი ჩანთა არ მიყიდა.

—რა ვიცი აბა, ტვინი გადატრიალებული მაქვს, სახელმძღვანელოები არა, რვეული არა, მშობლებმა წიგნების ფული კი გადავიხადეთ სანახევროდ მაგრამ არ მიუციათ, არ დაბეჭდილაო. ძველი სახელმძღვანელოები კი არვარგა, დაგლეჯილია, არც იშოვება.

—მე ჩემი მასწავლებელი და მერხი მენატრება და კიდევ მაიკო.

—მამიკომ სპილენძი წაიღო ბათუმში გასაყიდად, თუ გაყიდა, ჩანთას და სასწავლო ნივთებს მიყიდის და წავალ სკოლაში.

## ღირს დაფიქრებად და საგანგაშოდ

საქართველოს ყველა კუთხეს აქვს თავისი ტრადიცია და ამ მხრივ არც ჩვენი მხარე—ლეჩხუმია გამონაკლისი, სადაც სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად მეაბრეშუმეობა ერთ—ერთი ტრადიციული დარგი იყო და ეს არცაა გასაკვირი. იყვნენ დარგის ერთგული გულშემატკივარი და მოყვარული ადამიანები, რომელთა წყალობით სახელმწიფო გეგმა თუ დავალება ყოველთვის სრულდებოდა.

ხოლო მას შემდეგ, რაც ცხოვრების პირობები არეულდა, ერთ—ერთი საგადამხდელო საშუალება— ინფლაცირებული ეროვნული ფული გახდა, დარგისადმი ინტერესი იმდენად დაეცა, რომ წლეულს რაიონის მეაბრეშუმეებმა 3,3 ტონა აბრეშუმის პარკი დაამზადეს. სახელმწიფო დავალება 9 ტონას ითვალისწინებდა. ეს მაშინ, როცა 20—23 ტონა აბრეშუმის პარკის დამზადების რეალური შესაძლებლობა რაიონში ნამდვილად იყო. დასანანია, რომ 3,3 ტონა აბრეშუმის პარკს, რაც წელს მთელ რაიონში იქნა დამზადებული, წინა წლებში მარტო ერთი სოფელი ამზადებდა, ტონობით აბრეშუმის პარკს აბარებდნენ ტვიშელი, ორბელელი, ლაჯანელი და ლაილაშელი მეაბრეშუმეები. მეაბრეშუმეობა საყვარელი საქმე იყო და თავი არასოდეს შეურცხვენიათ ცაგერელ, ჩხუტელელ თუ ლასურიაშელ მეაბრეშუმეებს, დღეს კი არის სოფლები, საიდანაც არც ერთი კილოგრამი აბრეშუმის პარკი არ დამზადებულა, მეაბრეშუმეებმა საერთოდ უარი თქვეს აბრეშუმის მურის გაყვანაზე.

ახლა ბევრს ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ ხალხის თავის ნებაზე მოქმედებამ მიიყვანა ჩვენი ეკონომიკა დღევანდელ მდგომარეობამდე. აბრეშუმის პარკის დამზადების ამ სამარცხვინო შედეგამდეც სწორედ ამან მიგვიყვანა, თუმცა გაცემული მურის მიხედვით მეაბრეშუმეებს 9 ტონა, ის რაც სახელმწიფო დავალებით იყო გათვალისწინებული უნდა მიელოთ, მაგრამ გარემო პირობებმა, მაღალმა ტემპერატურამ მურის გამოკვების მომენტში უარყოფითად იმოქმედა და მოსავალი თითქმის განახევრდა, მეაბრეშუმეები რასაც მოელოდნენ, იმის ნახევარი მოიწიეს, რაც გარემო პირობებთან ერთად გრენის უხარისხობამ და შესაწამლი საშუალებების ნაკლებობამ გამოიწვია.

საგანგაშო მარტო ის კი არაა, რომ წელს მხოლოდ 3,3 ტონა აბრეშუმის პარკია რაიონში დამზადებული, არამედ ის, რომ იჩეხება საკარმიდამო თუ საკუთრებაში გადაცემულ ნაკვეთებში წლობით ნაზარდი თუთის ხეები, აბრეშუმის საკვები ბაზა. სხვა რომ არა, მარტო ეს ფაქტი ღირს საგანგაშოდ და დასაფიქრებლად, ყველამ ყველაფერი უნდა ვიღონოთ ეს რომ არ მოხდეს, განსაკუთრებით კი ამას ყურადღება ადგილობრივმა საკრებულოებმა, გამგებლებმა უნდა მიაქციონ, რომ ეს ტრადიციული დარგი ხელიდან არ გაგვიქრეს.

**დ. სალინაძე,**

**რაიაბრეშუმის უფროსი.**

## ქ რ ო ნ ი კ ა

ცაგერის რაიონის საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარის 1994 წლის 29 აგვისტოს განკარგულებით ქალაქ ცაგერის საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარედ დაინიშნა და რაიონული საკრებულოს გამგეობის წევრად შეყვანილია **ომარ მიხეილის ძე ჭაბუკიანი.**

ო. მ. ჭაბუკიანი დაბადებულია 1941 წელს, განათლებით პედაგოგია.

ბოლო პერიოდში მუშაობდა რაიონის კულტურის განყოფილების გამგედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკონომიკა

# ქვეყანაში ერთი ფული უნდა მოქმედებდეს

ალბათ მსოფლიოში არ მოიძებნება ქვეყანა, რომელიც დღეს ჩვენსავით გაჭირვებულ მდგომარეობაში იყოს. გვიჭირს პოლიტიკურად, ეკონომიკურად, სოციალურად, მორალურად, სამართლებრივად.

ქალაქად და სოფლად ადამიანები შიმშილობენ იმის გამო, რომ შეფერხებებია პურით მომარაგებაში, შაქარზე, ზეთზე ან სხვა აუცილებელ პროდუქტზე აღარც ლაპარაკობს ხალხი.

ტელევიზიით, პრესით თუ პარლამენტის სხდომებზე გაუთავებელი ლაპარაკია ეკონომიკურ სტაბილიზაციასა და ქვეყნის ამ მდგომარეობიდან გამოყვანაზე, რა აზრს, წინადადებას არ მოისმენ, მაგრამ ყველა ფუჭია, რადგან დღესდღეობით ქვეყანა კვლავ უფსკრულისკენ მიექანება, მოსახლეობა მთლიანად სოციალური დაცვის გარეშე დარჩა, რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებები კვლავ შეუსრულებელია.

ამ კრიზისიდან რომ თავი დაგვეღწია, რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა 1994 წლის 11 იანვარს მიიღო დადგენილება ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში დასაქმებულ მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთები და სარგოები, არამომუშავე პენსიონერთა პენსიები, აგრეთვე უმუშევრების, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა სტატუსის მქონე პირთა დახმარებები და შემწეობები დაწყებული 1994 წლის 1 მარტიდან ყოველთვიურად უნდა გაზრდილიყო 20 პროცენტით, რაც აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეთა შემოსავლების მცირე მატებას მაინც წარმოადგენდა.

მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო აღნიშნული მატება 1 ივნისიდან შეწყდა. ინფლაციის შეუქცევადი პროცესების შედეგად კიდევ უფრო დამძიმდა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობა.

ახლა რესპუბლიკის მთავრობისა და საფინანსო ორგანოების ძირითადი ღონისძიებანი მიმართულია იქითკენ, რომ განთავისუფლდეს ფასები პურსა და სხვა პროდუქტებზე და საქონელი გაიყიდოს იმ ფასებში, რაც უჯდება სახელმწიფოს, ხოლო ბიუჯეტზე მყოფ მუშა-მოსამსახურეებს თუ პენსიონერებს გაუდიდდებათ შესაბამისად ხელფასები და პენსიები. თეორიულად ეს იოლი სათქმელია, მაგრამ მთავარია ცხოვრებაში როგორ განხორციელდება იგი, როგორ უპასუხებს მას ბაზარი. თუ ისე განხორციელდა ხელფასების მატება, როგორც ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, ეს კიდევ უფრო გააჩანაგებს მოსახლეობის ბიუჯეტს, მთლიანად დაუცველი აღმოჩნდებიან ადამიანები.

როგორც კი დაიწყო ტელევიზიითა და პრესით მაღალ დონეებზე ლაპარაკი ფასების განთავისუფლებაზე, უკვე ბაზარზეც დაიწყო ფასების მატება. თუ ორი-სამი კვირის წინ ერთ ტომარა პურის ფქვილს საშუალოდ 14—18 ათასი რუბლი უნდოდა, ახლა უკვე, განსაკუთრებით ხარისხიანი ფქვილის ფასმა 25 ათას რუბლს გადააჭარბა.

ამას წინათ ტელევიზიით გამოსვლისას რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრმა დავით იაკობიძემ კატეგორიულად მოითხოვა ფასების განთავისუფლება, პურის ფასის მომატება, ხოლო მოსახლეობას ხელფასები გაუზარდოთო. მაგრამ იმას კი არ უფიქრდებიან, ხელფასები გაეზრდება მხოლოდ საბიუჯეტო ორგანიზაციების მუშაკებს, პენსიონერებს და ზოგიერთი კატეგორიის მუშაკებს. მაგრამ რა ქნან სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოების თუ ორგანიზაციების მუშაკებმა, მოსახლეობის საკმაოდ დიდმა ნაწილმა, რომლებსაც არ აქვთ საშუალება მოემატოთ ხელფასები, ან სრულებით არ არიან დასაქმებული და საერთოდ ხელფასს ვერ იღებულობენ.

დღეს საქართველოს მოქალაქეებს პენსიების, სტიპენდიების და ხელფასების სახით როგორც მიმოქცევის ან ანაზღაურების საშუალებას, აძლევენ შეღებილ ქაღალდს — კუპონს, რომელსაც არავითარი ღირებულება არ გააჩნია, ხოლო გადახდის საშუალებად ბაზარზე გამოსულია რუსეთის ფედერაციის ფული — რუბლი. რასაც შედეგად მოჰყვა საქართველოს ეკონომიკის სრული დაქვეითება.

საშუალო ხელფასი ამჟამად შეადგენს 200—300 ათას კუპონს. ერთი რუბლი კი ბაზარზე იცვლება 1200 კუპონზე ე. ი. საშუალო ხელფასს უწევს 200—250 რუბლი. რა შეიძლება იყიდოს მოქალაქემ ასეთი ხელფასით, როცა ჩვენს ბაზარშიც კი კილოგრამი ხორცი და ყველი 3000 რუბლია, ვაშლი და მსხალი 150—200 რუბლი, ლობიო 800—1000 რუბლი, გოჭი კილოგრამი 2500 რუბლი.

კომერციულ ჯიხურებში რაიმეს ყიდვა შეუძლებელია. ისე ძვირია ყველაფერი, კუპონის ხსენებაც კი არ შეიძლება. კილოგრამი შაქარი 1700—2000 რუბლია, ერთი ნათურა 600—700 რუბლი, სარეცხი ფხვნილი—1500—2000 რუბლი, პაპიროსი „ასტრა" 100 რუბლი, სიგარეტი „ელიმი" 1000 რუბლი.

გამოსავალი ერთია — საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიური სტაბილიზაცია უნდა დაიწყოს ფულის მიმოქცევის სისტემის სტაბილიზაციით, რაც ძირითადად მდგომარეობს ერთიანი ფულადი სისტემის შექმნაში. ქვეყანაში უნდა მოქმედებდეს ერთი ფული და არა ისე, როგორც დღეს ჩვენთანაა — მოსახლეობას დახარჯული სამუშაო ძალის საფასურად სთავაზობენ კუპონს, ხოლო გადახდის საშუალება კი არის რუსული რუბლი.

**ნ. ნემსაძე.**

ღია ჭრილობა

# დაბადების დღეს გილოცავთ, შვილო!

აფხაზეთიდან ლტოლვილთა ერთი ნაწილი ცაგერში სასტუმრო „ლეჩხუმში" ვცხოვრობთ. ლტოლვილმა მარინე ჯმუხაძემ ერთ საღამოს 5 წლის თამარი და 3 წლის თემური მომიყვანა და მითხრა: თემური 1991 წლის პირველ სექტემბერს არის დაბადებული და 3 წელი უსრულდებაო. მამამისიც, ჩემი მეუღლე შოთა იორამის ძე კოპალიანიც 1963 წლის პირველ სექტემბერს დაიბადა. შვილი აქა მყავს, მამამ კი საქართველოს ერთიანობას შესწირა თავი. ორივეს ერთად უნდა გადავუხადო დაბადების დღეო.

ორი წლის წინ, როგორც კი აფხაზმა სეპარატისტებმა ჩრდილო კავკასიელ ბოევიკთა დახმარებით გააჩაღეს ძმათამკვლელი ომი, შოთა კოპალიანმა ზედა კვლასურიდან სხვებთან ერთად პირდაპირ ფრონტს მიაშურა. სახლში რა გააჩერებდა ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდას, როცა მისი თანამოძმენი თავგანწირვით იბრძოდნენ და იცავდნენ საქართველოს მთლიანობას, ამაში მას სამხედრო გამოცდილება უწყობდა ხელს. შოთა სოხუმის 23-ე მექანიზებული ბრიგადის პირველ სატანკო ბატალიონში ჩარიცხეს. მის გმირულ ბრძოლებზე ბევრი თქმულა და ბევრი დაწერილა.

შარშან 15—16 მარტს მტერმა აჩადარაში დიდ ძალებს მოუყარა თავი და ინტენსიური ბრძოლები გააჩაღა. შემდეგ მდინარე გუმისთა გადმოლახეს გარეწრებმა. აჩადარა და გუმისთის ხეობა აბრიალებულ თორნეს გავდა. ქვაც იწვოდა, რკინას ცეცხლი ეკიდებოდა. შოთა კოპალიანის ტანკი კი ყოველთვის წინა ხაზზე იბრძოდა, ჟლეტდა გარეწრებს. 16 მარტს შეღამებისას კი ველარ გაუძლო ინტენსიურ ცეცხლს და უკანასკნელად ამოიგმინა, მისმა მხედარმა კი გმირულად დალია სული.

აჩადარაში მამაცი ტანკისტის შოთა კოპალიანის გმირული ბრძოლები მაღალ ჯილდოებთან ერთად აღინიშნა სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის პირადი მადლობებით.

შოთას ცოლ-შვილი, მშობლები ლტოლვილები არიან. ცხოვრობენ სასტუმრო „ლეჩხუმში". თუ ამას ცხოვრება ჰქვია, რადგან შვილის საფლავთან მისვლაც კი არ შეუძლიათ.

შოთა! აფხაზეთიდან ლტოლვილები ვუერთდებით თქვენი ოჯახის წევრების გულისთქმას. გილოცავთ თქვენ და თქვენს შვილს დაბადების დღეს. შენს ცოლ-შვილს, გამწარებულ მშობლებს ღირსებოდეთ შენს საფლავთან მისვლა და გამშრალი თვალებიდან ცრემლის დაყრა.

**პიმენ ლეთოდიანი.**

# კონცერტი სოფლის მშრომელთათვის

გმინავს გახლეჩილი საქართველო, სტკივა მოუშუშებელ იარად შთენილი სამაჩაბლო, აფხაზეთი... მაგრამ სულით არ დაცემა დღეს ისეა საჭირო, როგორც არასდროს.

ასე ფიქრობდნენ ლაილაშის სასოფლო კლუბის გამგე მთვარისა კოპალიანი, კლუბის მუშაკები, როცა სასოფლო კლუბში სოფლის მშრომელთათვის საღამო-კონცერტი გამართეს.

„გაუმარჯოს საქართველოს მზეს და ზეცას, საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს", „და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს, როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე" — მოწოდებად ჟღერდა ლადოს სტრიქონები დარბაზში და ამ ფონზე შესრულდა ლექსები, ცეკვები, სიმღერები, რამაც მაყურებელი გაახალისა, დროებით მოწყვიტა მძიმე ყოფით გამოწვეულ ყოველდღიურ საფიქრალს.

**ელენე ქარსელაძე.**

* * *

ლაილაშის სასოფლო კლუბი ავარიულ მდგომარეობაშია. თუ გული გულობსო, ნათქვამია — ქადა ორივე ხელით იჭმევა. ჰოდა, მისასალმებელია, რომ სოფლად კულტურის ობიექტები ელემენტარულად მაინც აკეთებენ თავიანთ საკეთებელს, ხალხს გულს უთბობენ, ემსახურებიან.

# ამაგდარი

თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც ქორენიშის ბიბლიოთეკას პირნათლად ემსახურება ამაგდარი ბიბლიოთეკარი ლენა სანდროს ასული ლომთაძე. მას ამ ხნის მანძილზე იმდენი დრო შინ არ ექნება გატარებული, რამდენიც ბიბლიოთეკაში. ამიტომაცაა, რომ წიგნადი ფონდი [illegible] დაცული და შენარჩუნებული, თითქმის დიდი ბიბლიოთეკის ფონდს (6000 ც) აღემატება. ვინ მოთვლის რამდენჯერ შეხებია ყოველ წიგნს, რამდენჯერ გაუცია და მიუღია, რამდენჯერ უმკურნალებია და დაუმუშავებია თითოეული.

ვისაც ღრმად ჩაუხედია ბიბლიოთეკარის მუშაობაში, მიხვდება, რომ ამ თავმოსილი ქალის სახით ჩვენს სოფელს ჰყავს დიდად პატივსაცემი პიროვნება. მკითხველისადმი მისი ურთიერთობა ისე თბილია, გამოსვლაც დაგენანებათ ბიბლიოთეკიდან.

ჩვენ, ქორენიშში მცხოვრები სტუდენტები, დიდ მადლობას ვუხდით ქალბატონ ლენა ლომთაძეს უთბილი და კეთილსინდისიერი მომსახურებისათვის.

**ალეკო ასათიანი,**
**იოანე პეტრიწის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტი.**

# დავიწყებული ღიმილის საღამო

28 აგვისტოს ახალგაზრდულმა ხმებმა აავსო მუსიკისა და მხიარულებისაგან დიდი ხნით მიტოვებული სარკეებიანი დარბაზი. საგზაო სამმართველოს ეს კოხტა შენობა ადრე ხშირად ყოფილა ახალგაზრდული შეხვედრებისა და კაფე-საღამოების მასპინძელი. დრომ იმდენი რამ წაიღო, რომ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ცოტა უცნაურადაც ჩანდა ბევრი რამ. ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის რაიონულმა წარმომადგენლობამ ეს საღამო დიდ ქრისტიანულ დღესასწაულს მარიამობას მიუძღვნა. შეიძლება ამასაც დავაბრალოთ, რომ შეკრებილ საზოგადოებას (თუ არ ჩავთვლით თვითონ წარმომადგენლობის პერსონალს და კულტურის სახლთან არსებული ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის ვაჟებს) მთლიანად ქალები წარმოადგენდნენ. უჩვეულოდ ჩახდა ამოდენა დარბაზში გაშლილი (სხვათაშორის, ჩვენი დროისათვის თითქმის შეუფერებელი სიუხვითა და ელვარებით) სულ რამდენიმე სუფრა (საღამოზე მოწვეული ბევრი ორგანიზაცია საერთოდ არ მოვიდა), ამ უჩვეულო სიხალვათით ახსნა დეპარტამენტის მთავარმა რწმუნებულმა მერაბ სალინაძემ ის არაჩვეულებრივი უშუალობა, ძველი საღამოს განმავლობაში რომ იგრძნობოდა.

საღამომ კი მართლაც მშვენივრად ჩაიარა. აქ არ იყო თავაწყვეტილი მხიარულება. სამაგიეროდ იყო ძალდაუტანებელი, უშუალო განწყობილება, ზომიერად შეზავებული ლექსითა და სიმღერით, ცეკვითა და... ცრემლითაც კი. ასეთი გარემოს შექმნა საღამოს ინიციატორის მარინე სვანიძის და პირველ რიგში წამყვანის, ქალბატონ ნატო სილაგაძის დამსახურებაა, რომელმაც საკუთარ პროფესიონალიზმს ოსტატურად შეუხამა მონაწილეთა დიდი სურვილი თვითგამოხატვისა. რა თქმა უნდა, ბრწყინავდნენ დარეჯან სალინაძე და მისი კოლეგები კულტურის სახლიდან, გულო გოლეთიანი, ვალიდა ბენდელიანი, გულადი გოგოხია, შესანიშნავი იყო სპარტაკ კვირკაშვილი. საღამო მართლაც რომ დაამშვენა სტუმარმა, მომღერალმა ინგა ურუშაძემ, მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო თითქმის უკლებლივ ყველა „რიგითი" მონაწილის დეკლამაციური ოსტატობა და იმპროვიზაციული ნიჭი. იზა კოპალიანმა აატირა კიდეც ზოგიერთი და მსახიობური ხელოვნებით განაცვიფრა მსმენელნი. კაცია და ხასიათი, როდემ ამდენი ლამაზი ქალიშვილის, ამდენი ჯერჯერობით არშემდგარი მეუღლისა და დედის, ამდენი განუხორციელებელი სიყვარულის ხილვას სევდა უფრო უნდა აღეძრა გულში. და კაცმა რომ თქვას, სად სძინავთ ამ დროს მამაკაცებს? იქნებ ხუმრობითაც დაისვა ეს კითხვა, მაგრამ ისეთ ხუმრობას რა ვუთხრა...

მოწვეულ სტუმართაგან მხოლოდ ქალბატონმა მარიამ გამსახურდიამ დასდო მისვლის პატივი ახალგაზრდებს, იგი მრავალი მათგანის აღმზრდელი და მასწავლებელია და ამიტომაც არ იყო უჩვეულო მისდამი გამოჩენილი მოკრძალება და პატივისცემა. სტუმარიც და მასპინძელიც იმედით დაშორდა ერთმანეთს, რომ ეს საღამო პირველი და უკანასკნელი არ იქნება, რომ ასეთი შეხვედრები გაგრძელდება, გამრავალფეროვნდება და დაიხვეწება.

**ია ხმელიძე.**

## ხსოვნა

დედიკოსა და ბებიას ამარა
დრო მკურნალიაო ნათ-
ქვამია, მაგრამ არა დრო

### გრიგოლ გედეონის ძე სილაგაძე

30 აგვისტოს, შენი დაბადების დღეს მეორედ შევხვდით უშენოდ, მამიკო, გაუნელებელი სევდით, ცრემლითა და ნაღველით, რა ახალგაზრდა წახვედი ამ ქვეყნიდან, ვინ იფიქრებდა, რომ დღეს ჩვენს გვერდით არ იქნებოდი, რა მოულოდნელი იყო შენი სიკვდილი. განა ერთი უბედურება არ გვყოფნიდა, შენც რომ მიგვატოვე? ჩვენ ხომ ბაბუა არ გვყავდა და შენ იყავი ჩვენთვის ყველაფერი, შენგან გვინდოდა მზრუნველობა, ალერსი, სითბო, მაგრამ არც შენ შეგვიბრალე და მიგვატოვე.

ვერაფერს შველის იმ გაუნელებელ სევდას, რაც შენი და ბაბუას დაკარგვით განვიცადეთ.

შენი საფლავი ჩვენი გულია, არასოდეს დაგივიწყებთ, ხშირად მოვალთ მოგეფერებით, მოგირთავთ ცოცხალი ყვავილებით, სანთლებს აგინთებთ ჩვენო მამიკო და შევევედრებით ღმერთს, ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

იძინე მშვიდად, სანამ ვიცოცხლებთ შენი შვილები შენი ხსოვნა ჩვენთან იქნება.

ნინო და ნათია.

## განცხადება

იყიდება სახლი რუსთაველის ქ. №26 რაისაავადმყოფოს წინ. ფასი შეთანხმებით.

## გილოცავთ

საყვარელო ნათია!
გილოცავ დაბადების დღეს. ღმერთი იყოს შენი მფარველი.
მაია და ზვიადი.

ზურიკო კოპალიანს
გილოცავთ გენოს ბედნიერებას.
გულნაზი და ვალიდა.

ნორა, ნინო, მუხრან ლიპარტელიანებს
გილოცავთ აზას ბედნიერებას. სიყვარული და სიკეთე დაგბედებოდეს.
ჟორა გოლეთიანი, ბუჩუ ბენდელიანი.

ლალი, პაატა შკუბულიანებს
ნანა, ნუკრი ქურასბედიანებს
გილოცავთ შვილების შეძენას.
ფატი, ქეთინო, სოფიკო, ელისო გოგიძეები.

გულო, კაკო ჩარკვიანებს
გილოცავთ ხათუნას ბედნიერებას.
ამირან, დათო ჩახულიანები.

ელისო მუშკუდიანს, თენგო ჭაბუკიანს
გილოცავთ ბედნიერებას.
ვენერა ჩარკვიანი, ნიკო სარალიძე.

ნათია სილაგაძეს
გილოცავთ დაბადების დღეს.
ლელა, ლაშა მოწონელიძეები.

ჩემო ნინო!
ბედნიერებას გილოცავ, სიყვარული ყოფილიყოს შენი ცხოვრების თანამგზავრი.
მალვინა

ნანი სილაგაძეს, კობა მოწონელიძეს
გილოცავთ ბედნიერებას.
ლელა, ლაშა მოწონელიძეები.

გულო, კაკო ჩარკვიანებს
გილოცავთ ხათუნას ბედნიერებას.
გულო, შოთა კოპალიანები.

ნატო მამარდაშვილს
გილოცავთ დაბადების დღეს. სიხარული, ბედნიერება დაგბედებოდეს.
ქეთი, მეგი, ნინო ნანა ანა, დათო თამუნა და პატარა ნინო.

## ადამიანი და ბუნება

# ერთი ნადირობის ისტორია

პატარა სოფელია კენაში. პატარა და ლამაზი, ცოტა მიუვალიც, მაგრამ ეს მხოლოდ უცხოსათვის. აქაური კაცისთვის კი შვების მომგვრელია სოფელში ასვლა, მას არც ციცაბო აღმართები აშინებს და არც სოფლის შარაზე აზელილი ტალახი. სოფელში ასვლისას გრძნობ, ფილტვები როგორ გევსება სუფთა ჰაერით, ხარბად ისუნთქავ მას, უმალ გრძნობ ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეს, რაც ესოდენ დამახასიათებელია სოფლისთვის.

აქ ყველაფერს გამრჯე გლეხკაცის ხელი ატყვია, სიმინდის ყანებსა თუ ვენახის მწკრივებს, ჰოდა, გლეხიც უფრთხილდება თავის ნაშრომ-ნამაგარს.

ერთხელ სოფელში ხმა დაირხა, სიმინდის ყანებს დათვი შემოჩვევია და თუ რამე არ ვიღონეთ, წლევანდელ მოსავალს განადგურება ელოდებაო. ჰოდა, ატყდა ჩოჩქოლი, დაირღვა სოფლის მყუდროება, კაცებმა გადაწყვიტეს, რომ ჩასაფრებოდნენ მტაცებელს და ბოლო მოეღოთ მისთვის. გამოცდილი მონადირეც კი მოიწვიეს მახაშიდან.

დილიდანვე კარგი ამინდი იდგა. კაშკაშა მზე დანათოდა სოფელს. მხრებზე თოფგადაკიდებული მონადირეები თავიანთი ძაღლებითურთ გაუყვნენ უკანარის გზას. ყველანი იქ იყვნენ, მოხუცები, ახალგაზრდები, ბავშვები.

ტყეში სიჩუმე გამეფებულიყო, მყუდროებას მხოლოდ ჩიტების ჭიკჭიკი და მთის ცივი წყაროების ჩხრიალი არღვევდა. დათვს ტკბილად ეძინა ბუნაგში თავის პატარა ბელთან ერთად, რომელიც მონადირეებს მანამდე შეუმჩნეველი ჰყოლიათ. თოფის ხმამ გაჭრა ლაჟვარდოვანი სივრცე და მთებმა ექო მისცეს. შეშინებული დათვი გამოვარდა თავისი ბუნაგიდან. მის ცხოვრებაში გადამწყვეტი — სიკვდილ-სიცოცხლის მომენტი იდგა და თავდაცვის ინსტინქტმა უკარნახა გაქცეულიყო.

პატარა ბელი მიხვდა, რომ რაღაც უბედურება დატრიალდა მათ თავს, დედას გამოედევნა. ბუჩქებში ჩასაფრებული მონადირე გამოუხტა დათვს და ცხელი ტყვია დაახალა. ატყდა თოფების ბათქა-ბუთქი და ძაღლების ყეფა. დაჭრილი დათვი მაინც გარბოდა. მან უკან მოუხედა პატარა ბელს და მხეცური ენით აუწყა, რომ არ ჩამორჩენოდა. ბელიც თავგამეტებით მისდევდა დედას. პირველ ტყვიას მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე და ღონემიხდილი, სასიკვდილოდ დაჭრილი დათვი მიწაზე გაიშოტა. მან უკანასკნელად კიდევ ერთხელ მოხედა დანისლული თვალებით უმწეო შვილს და შემზარავად დაიღრიალა. აფართხალებულ მხეცს ბოლო ტყვია დაახალა მონადირემ და სული განუტევა.

ობლად დარჩენილი ბელი გაიქცა, ტყეს მისცა თავი. ახლა მას დაედევნენ მონადირეები, რომლებსაც ბელის ცოცხლად შეპყრობა სურდათ. იგი ტყვიით გვერდში დაჭრეს. დაჭრილი ბელი ხეზე ავარდა, აჰყვა მონადირეც და მას თოკი ესროლეს. თავზე ჩამოცმული თოკი ბელმა მთელი სისწრაფით გადმოიგდო თათით და გაიქცა. მონადირემ მეორე ტყვია დაახალა, რომელმაც შუბლი გაუხვრიტა ბელს და ისიც დედამისის გზას გაუყენა. მონადირეებს ებრალებოდათ ბელი, მაგრამ მაინც არ დაინდეს იგი.

გამარჯვებული სახეებით ბრუნდებოდნენ მონადირეები სოფელში. მათ მხრებზე გადებული მოჰყავდათ დათვი და მისი პატარა ბელი, ზოგჯერ ადამიანებიც ულმობელნი ვართ ბუნების ამ ლამაზი შვილებისადმი. რას იზამ, ასეთია კაცთა მოდგმის ცხოვრების წეს-ჩვეულებანი.

**ნონა ახვლედიანი,**

**სოფელი კენაში.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გილოცავთ

**დოდო, გივი მუშკუდიანებს**
**ნინო, მირიან მუშკუდიანებს**

გილოცავთ შვილისა და დის ელისოს ბედნიერებას. სიხარული დაგბედებოდეთ.

**ილარიონ ჭოხონელიძე ოჯახით.**

---

**ნინო მუშკუდიანს, ვაჟა გველესიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ ულევ სიხარულს უსაზღვრო სიყვარულს. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

**ფოთოლა ბენდელიანი, ირმა, ხათუნა, ნუკრი ხარჩილავები.**

---

**ხათუნა ჩარკვიანს, ფრიდონ მაჩიტიძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ და იმრავლეთ.

**თემურ, ზაალ ჩაკვეტაძეები, ვანიკო დანელია სპარტაკ გვასალია.**

---

**აზა ლიპარტელიანს, ბათო ყურაშვილს**

გილოცავთ ბედნიერებას. გიტარებინოთ ქართული ოჯახის ხიბლი და ტვირთი.

**გულნაზი, ზაირა, თამილა, თამარი, თინიკო მაია, რუსიკო, მარინა.**

---

**ელისო მუშკუდიანს, თენგიზ ჭაბუკიანს**

გილოცავთ ბედნიერებას.

**ვაჟა ნიკურაძე, მურმან გულბიანი, ლაშა აბრამია, აპოლონ შენგელია.**

---

**აზა ლიპარტელიანს ბათო ყურაშვილს**

გილოცავთ ბედნიერებას.

**ელისო, სოფო, მურთაზი, ბადრი.**

---

**ხათუნა ჩარკვიანს, ფრიდონ მაჩიტიძეს**

გილოცავთ ბედნიერებას.

**კვაჩუნა ბენდელიანი ოჯახით.**

---

**ნანი სილაგაძეს, კოგა მოწონელიძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. ფუძემყარი ოჯახის შექმნას გისურვებთ.

**მაკა ლეჟავაშელი.**

---

**საყვარელო ნამცია მასწავლებელო!**

გილოცავთ ბედნიერებას. ნათელი ბილიკებით გევლოთ ცხოვრების მანძილზე.

**მაია და ბაჩუკი გიორგელიძეები.**

---

**ნინო მუშკუდიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ სულ.

**შოთა მურცხვალაძის ოჯახი.**

---

**ნინო მუშკუდიანს**

ღმერთმა დალოცოს შენი ქორწინება. განამტკიცოს და არ დაგიმძიმოს უღელი, ნაყოფიერება მოგცეს და სიყვარული გიმრავლოს.

**ლია, ია.**

---

**დალი ვახტანგის ასულ ასათიანს**

გილოცავთ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვას.

**მაია, სოფიკო, ზურიკო ყურაშვილები.**

---

**გულო, კაკო ჩარკვიანებს**

გილოცავთ ხათუნას ბედნიერებას.

**გივი, გიზო, გურამ სალინაძეები ოჯახებით.**

---

**ნინო, ამირან კვირკაშვილებს**
**ლალი, გოგი კვირკაშვილებს**
**მაია, ლევან ლაგაურებს**

გილოცავთ ვაჟიშვილების შეძენას, იხარონ.

**მთვარისა, დათო ბენდელიანები.**

---

**ნუკრი ხარჩილავას**

გილოცავ პირველ კლასში შესვლას, პირველ ნაბიჯს ცხოვრებაში. სიხარული და სიყვარული ყოფილიყოს შენი მეგზური.

**ფოთოლა დეიდა.**

---

**მარინე, როგერტ, ნოლინე გოლეთიანებს**

გილოცავთ ანას უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვას.

**კვაჩუნა ბენდელიანი ოჯახით.**

---

**ლამზირა ონიანს, ემზარ ლიპარტელიანს**

გილოცავთ მარის შეძენას.

**ფატი, ქეთინო, სოფო, ელისო.**

---

მეუღლე პელო, შვილები რომანი, ჟორა, ციალა, რძლები ლოლა, ნორა ნარგიზა, ლეილა, ცოლისდა იოვლინე, დები ლუბა, საშა, ძმა ავერიონი, სიძეები კოსტა მეძველია, ჯემალ პაპავა, შვილიშვილები ზაზა, ზვიადი, შორენა ჯაბა, ირინა, ნანა მარინე მამუკა, ძმისშვილები, დისშვილები, უახლოესი ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ერმალო ივანეს ძე კუხალაშვილი.**

დაკრძალვა 1 სექტემბერს, ხუთშაბათს, სოფ. მახურაში

---

ბაჩუკი ყვირილიანი, ბადრი კილაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**ვალოდია ხეცურიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ზაურ, გივი ახვლედიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**ვარლამ ხეცურიანის**

გარდაცვალების გამო.

---

და ჟუჟუნა, სიძე დისიკო სვანიძე, დისშვილები ნონა, გული, ტარიელი, რძლები ნუნუ ქელბაქიანი, მანანა მხეცაძე, სიძეები თენგიზ ხვადაგიანი, თამაზ სალინაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ეთერ გიორგის ასული ხვადაგიანი.**

---

მურმან ბენდელიანი, რეზო ქურაშვილი თანაუგრძნობენ მანანა ჭილვარიას დედის

**ეთერ ჭილვარიას**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის სახანძრო ნაწილის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მურთაზ კოპალიანს სიდედრის

**ლოლა სოფრომის ასული სილაგაძე—ჩიქოვანის**

გარდაცვალების გამო.

---

ჯემალ გალაქტიონის ძე კოპალიანი თანაუგრძნობს ლუიზა, მურთაზ კოპალიანებს

**ლოლა ჩიქოვანის**

გარდაცვალების გამო.

---

ჩხუტელის საშუალო სკოლის პედკოლექტივი თანაუგრძნობს კაკო მეშველიანის ოჯახს მამის

**დომენტი მეშველიანის**

გარდაცვალების გამო.

---

სულიკო ყურაშვილი, ცაცა კუხალაშვილი ოჯახებით თანაუგრძნობენ ზინა ჭაბუკიანს მეუღლის

**სამსონ ყურაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე სამსონ ჭილვარია, შვილები ვახტანგი, გურამი, მანანა, რძალი ქეთინო ტვილდიანი, სიძე ნუგზარ ჭაბუკიანი, შვილიშვილები [illegible] იუწყებიან

**ეთერ გიორგის ასული ხვადაგიანი—ჭილვარიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 1 სექტემბერს, ხუთშაბათს, სოფ. ლასხანაში.

---

ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება ომის ვეტერანის

**ვლადიმერ კონსტანტინეს ძე ჩარკვიანის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

გიზო სალინაძე ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს

**გივი ბენიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ეთერ ბაბლუანი ოჯახით თანაუგრძნობს ნაზი ფრუიძეს მეუღლის

**გივი ბენიძის**

გარდაცვალების გამო.

---

მამუკა სილაგაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ლოლა ჩიქოვანი**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

კომუნალური მეურნეობის სამმართველოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ქეთინო და ზაურ კვირკაშვილებს მამის

**ვარლამ ხეცურიანის**

გარდაცვალების გამო.

---

გრიშა შკუბულიანი, ოტელო მდივანი თანაუგრძნობენ ნონა და გულო ცვანიძეებს დედის

**ეთერის**

გარდაცვალების გამო.

---

ტულუ ხაბულიანი ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს

**ვარლამ ხეცურიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ტრისტან ჩხეტიანი ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს

**გივი ბენიძის**

გარდაცვალების გამო.

---

შარდენ კოპალიანი, იური სილაგაძე, ჯამბულ გოდოლაძე, მამია სადილიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ლეილა, ჯუმბერ ნემსწვერიძეებს ძმის

**გივი ბენიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაცა კუხალაშვილი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ვარლამ [illegible] ხეცურიანი**

---

გრიშა მეშველიანი ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს

**ეთერ ჭილვარიას**

გარდაცვალების გამო.

---

ოთარ ჭაბუკიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ეთერ ჭილვარია**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

გრიშა მეშველიანი, როინ სილაგაძე, მალხაზ შეყრილაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**ნადია მეშველიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ზაალ ჩაკვეტაძე, ვანო დანელია, სპარტაკ გვასალია ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**ვარლამ ხეცურიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ენუქი ჩაკვეტაძე ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს

**ვარლამ ხეცურიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ლია, ლალი, გია გიორგელიძეები თანაუგრძნობენ ავგუ ხეცურიანს და ფოთოლა მურცხვალაძეს ბიძის

**დომენტი მეშველიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ქალაქის ბიბლიოთეკების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**ეთერ ხვადაგიანის**

გარდაცვალების გამო.

---

თამაზ ლეთოდიანი ოჯახით იუწყება

**გივი ბენიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ჭირისუფალს.

---

ეთერი, მერი, ვენერა, ლილი ჩარკვიანები, ნიკო სარალიძე, თათუშა ყვირილიანი თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**ვარლამ ხეცურიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ვახტანგ სანდროს ძე ჩაკვეტაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ერმალო ივანეს ძე კუხალაშვილი.**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

მიშა, სოსო კოპალიანები, ჯემალ ჭაბუკიანი, ვიტალი ჩიხლაძე, გია ქომეთიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ გივი, ნანული ლაკვეხელიანებს, იური, ნინო კოპალიანებს დედისა და ბებიის

**მარო ლაკვეხელიანის**

გარდაცვალების გამო.

---

**დამფუძნებელი—რედაქციის კოლექტივი**

**რედაქტორი ნ. ნემსაძე.**

**გაზეთი მუშაობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორთა აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე.**

**რედაქციის მისამართია: 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №16 ტელეფონი 23—81.**

**ცაგერის რაიონული სტამბა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა